18 (31) ოკტომბერს 1868. № 42. მესამე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი

დ აგზავნით ტფილისში და გარე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან,
ნახევარის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვ ს ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

განცხადება

გაზეთის „დროების“ გამოცემაზე

1869 წელში.

1869 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორითაც წარსულს წლებში გამოდიოდა და იმავე რედაქტორის და გამომცემელის ხელში.

ხელმოსაწერი ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში		გაუგზავნელათ
ერთის წლისა	7 მანეთი	— 6 მანეთი.
ნახევრის წლისა.	4—	— —3—50 კაპ.
სამის თვისა	2—50 კ.	—2—

დროება გამოდის კვირაში ერთხელ პარასკეობით.

ხელიმოწერება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Въ Контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

შინაარსი:

მოსავლის ამბავი. — „დროების“ კორრესპონდენცია ახალციხიდგან. — პოლიტიკა: ანგლია. - ავსტრია. — პრუსია. — ისპანია. — ტელეგრამმები. - რამდენიმე სურათი მოთხრობიდგან „ბერიტია“. — რუსეთის ამბავი. — სოფელი ხაშმი. — სხვა და სხვა ამბავი. — ბიბლიოგრაფიული ცნობა.

მოსავლის ამბავი.

გაზეთი „კავკაზი“ ამბობს: ბაქოს გუბერნიაში შემახის უეზდის სოფლებში: მადრასი, ახსუ, კურდამირი და სხვა, ყურძენი ნაცრისგან ისე წახდა, რომ ნახევარიც არ გამოსულა იმისა, რაც ჩვეულებრივ მოდიოდა.

ეს ავათმყოფობა უწინაც იყო შემახაში, მაგრამ ასე გაძლიერებული, როგორ წლეულს, არაოდეს არ ყოფილა.

ნაცრის ასე გაძლიერებას აბრალებენ წრეუნდელს წვიმიანს წელიწადსა. ბაქოს გუბერნიაში მაინც წრეულს ძალიან წვიმები იყო იმდროს, როცა ყურძენი ჰყვაოდა და მწიფდებოდა.

ყუბის, ლენკორანის და ბაქოს უეზდებში თუმცა ღვინო არაფრად მოდის, მაგრამ თურმე იქაც ძალიან მიუყრია ნაცარი; — ლენკორანში მოშავათე რუსების სოფელში პრივოლიეშიაც ძალიან წახდა ყუძენი.

განჯაში ინჩინის ხეობაში და ელენე-ნდორფის კალონიაში ერთობ ცუდი მოსავალი ყოფილა ღვინისა, მაშინ როდესაც ამ ადგილებიდგან სხვა დროს ძალიან ბევრი საუკეთესო ყურძენი შემოდიოდა ტფილისს.

ერევნის გუბერნიიდგანაც ამისთანა უნუგეშო ამბები მოგვივიდა ყურძნის მოსავლის შესახებ. ზოგიერთმა მემამულემ სცადა გოგირდის ფხვნილის დაყრა ვაზებზე და გამოდგა კიდეცა.

წრეულს კახეთს უფრო დაეტყო ღვინის ვენახის წახდენა. ნაცარიც ხომ ძალიან გაძლიერებული იყო და ბუნებამ კიდევ სულ უარესი უყო. ალაგ-ალაგ ასეთ ნაირათ დასეტყვა, რომ რაც ნაცარს გადურჩა, სეტყვამ დასჭყლიტა.

გორის უეზდშიაც არ გადარჩენილა ყურძენი ნაცარ დაუყრელი.

ქუთაისის გუბერნიიდგანაც უნუგეშო ამბავი მოგვივიდა. როგორც წინა წლებში, წრეულსაც ისე მიუყრია ნაცარი და არც კი ეტყობა, რომ ამ ავათმყოფობას ცოტათ მაინც დაეკლოსო.

„დროების“ კორრესპონდენცია ახალციხიდგან.

ორიოდე სიტყვა სასოფლო შკოლებზედ,

რომელნიცა არიან ახალციხის უეზდში ჩყდ-ს წ. გახსნილნი კომმისიისა მიერ, და ახალ სასოფლო შკოლებზედ. *)

თაგვს საბან-ბუმბულში აწვენდნენ და თაგვი ისარაში მირბოდაო. ეს ანდაზა სწორეთ ახალციხის უეზდის დაბალ ქართველ-ხალხზედ საზოგადოთ მოქმედებს, ამისთვის რომ კამისია ცდილობდა და ეხლაც ცდილობს ამნაირ გაუნათლებელ და გონება გაუხსნელ ქართველთ შორის განავრცელოს „ზნეობითი“ სწავლა, და „გონებითი“ გახსნა. აქ „ზნეობითი“ სწავლა იმ ჰაზრით ვიხმარე, რომ აქაურმა ქართველებმა თითქმის მესამედმა არ იციან ლოცვა „მამაო ჩვენო“, რომლისაც მოვალენი არიან მღვდელნი, რომ ასწავლონ

*) ეს გამოცხადდა ამ ახალციხის უეზდში და ახალქალაქის უჩასტკში ივლისს ჩყდ-ს წ., რომელიც უნდა აღაშენონ თავიანთი ხარჯით და მასწავლებლებიც თავიანთი ხარჯით უნდა დაიჭირონ.

რამდენიმე სურათი მოთხრობიდგან.

„ბერიტია“

IV.

ზაფხული გადიოდა. სიმიდი მოეტეხათ და ეზოში მიუხებ ქვეშ გაურჩეველი ტაროების ზვინები იდგენ. სადილობის დრო იყო. ბაკურიძეს სიცხისაგან გარეთ ვერ გაეძლო და გაფალარათებული ჰგორავდა ტახტზე ჩვეულებრივად. იქვე კედლებზედ იყო მიკიდებული იმისი თოფ-იარაღი და მათრახი. ხელში გძელი ჩიბუხი ეჭირა და დაზარებით ეწეოდა. მოშორებით ანასტასიას მუხლები მოეკეცა ტახტზე და ბიტოს კაბას ჰკერავდა. პირდაღებულს პოლზე ბიტო ჩამჯდარიყო ნაფოტებში და სახლს აშენებდა. დროსა და დროს განმავლობაში ის ბატონურათ შეუძახებდა თავის გოგოს მარინეს, რომელიც იქვე ხელს უწყობდა თავის პატარა ქალბატონს სახლის შენებაში. — „რას შობი გოგო!.... მაქანეი კი არ უნდა მაგ ნაფოტი, აქანა დადევი!“ ამ დროს მარინემ უნებურათ წაჰკრა ხელი აშენებულს კედლებსა და ერთი საათის ნაშრომი ერთს წუთს დაანგრია. — „შიმე, დედა, — იწივლა ბიტომ — „დედა, მარინე არ მაყენებს, სახლი დამინგრია? — წუწუნით შეჩივლა ანასტასიას თავისმა ასულმა.

— მარინე, მარინე!... მომეცა ღვთის წყალობა, მე შენ გაგლახო! შეხედე ახლა ამ უნამუსოს შვილს. ორ წამს არ გოუშვებს ისე, რომ ყმაწვილი არ აატიროს!.... — წყრომით შესძახა ანასტასიამ. მარინე აიფხორა. ნაფოტები ხელიდგან დაჰყარა და თავი ჩაჰკიდა.

— მარინე მომეცი მაგ ნაფოტები — უთხრა ბერიტიამ, რომელიც გრძნობდა თავის დანაშაულობას იმასთან და უნდოდა მალე შერიგებოდა. ბერიტიამ კარგა იცოდა, რომ ანასტასიამ იმის ბრალობით შეჭფახა მარინე.

ამ დროს ბაკურიძემ კრუსუნით ფეხი ფეხს მოარტყა, გვერდზე გადმობრუნდა და დაიყვირა „ბიჭო“! მეორე ოთახიდგან მოისმა მთრთოლვარე ხმა: „ბატონო!“ და ამასთანავე შემოვარდა თავ გაწეწილი ცამეტი წლის პატარა ბიჭი, რომელსაც გაცვეთილი ლურჯი სამოსლის პერანგი ეცვა და დაგლეჯილს პერანგის ამხანაგში იმის მუხლებს თავი გამოეყოთ. — „წადი, თხილის ტოტები მოამტვრიე“ უბძანა ბაკურიძემ და დაბლათ წაიდუდუნა: „ღმერთო, ამ ბუზებმა საქმე გააჭირევეს“. — ცოტა ხანს შემდეგ პატარა ბიჭმა შემოიტანა ერთი პატარა კონა ფოთლიანი ტოტები დაჯდა ბატონის ფეხთით და დაუწყო ბუზების მოგერება. ამ დროს შემოიმართა ოთახში ერთი მაღალი გრძელ ულვაშებიანი კაცი. ძველი ქუდი თავზე ეფხუტა. ის იყო პირხმელი და კარგი მოსული ჭადარა კაცი; პატარა თვალები ღრმად ჩავ რდნოდა და ზედ ბოყვსავით გადმოფარებოდა განიერი შუბლი სქელი შავი წარბებით. მარჯვენა ხელი უბეში ჩაიდო, ფეხი განზე დადგა და პატივისცემით დადგა ბატონის წინ. შემდეგ ერთი მაგრათ ჩაახველა და დაიწყო.

— ბატონო ხაბაზს გააცხელა და გამომცხობი აღარავინ გვყავს.

— როდის გააცხელა? წამოიმართა ბაკურიძე და ისე ჰკითხა.

— ჯერ, ბატონო, გუშინაც აცივებხა მარამ დღეს ისთე ავათ გახდა, რომ ფეხზე ვერ დგებოდა: სიცხით გათარანებული იყო. რას ვიზამდი, შინ გოუშვი. აქ რომ გამეჩერებინა, უარესი იქნებოდა. ტყულა თქვენ შეგაწუხებდათ. დაიწყო თავის გამართლება ხელოსანმა (მოურავმა), თითქოს შეეშინდა, ვაი თუ ბატონი გამიწყრესო, იმის დაუკითხავათ რომ შინ გაუშვიო.

— ახლა მშიერი უნდა დავრჩეთ დღეს! — შესძახა ბაკურიძემ.

— დღეისთვის კიდო გახლავთ, მარა მერე კი აღარ გვექნება.

— პეტრიელა სად არის?

— აქ გახლავთ, მარამ.... არ შევბა... მე არ გამოვაცხობო.... გამოცხობა ჩემი რიგი არ არისო. მის დღეჩი არ გკდებია და არც ღევიდებ ბეგრათ ხაბაზობასაო.

— წადი, დოუძახე. — ბაჯავრებით უთხრა ბაკურიძემ.

ხელოსანი ოთახიდგან გამოვიდა.

— შეხედე იმ ეშმაკის შვილს!... — გაცეცხლებული თვალებით გადმოხედა ბაკურიძემ თავის ცოლს, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო ანასტსია თანამიგრძნობს თუ არაო. მაგრამ ანასტასიას თავი არ აუღია საკერავიდგან; ეტყობოდა კი რომ კერვას მოუჩქარა.

— ანებიერე იმისთანა გველის წიწილები, ჩააცვი, ასვი, აჭამე! ვითამ დაგისწავლიან! კი, რავა არა, იმათმა სიცოცხლემ! ის კიარა, თავზე დაგაჯდებიან.!... სუნთლათ კბილებს დავამტვრევ მაგ ეშმაკის შვილს, მაგას! მე ვასწავლი, როგორც უნდა მორჩილობა. — უცებ წამოხტა ზეზე ბაკურიძე, ხელები დაიმუქა და ტახტზე დაჯდა.

— ღმერთმანი, აპა, თუ არ მართებს, რეიზა გამოგიცხობს — წყნარის ხმით წამოიძახა ანასტასიამ და თავი კი არ აუღია საკერავიდგან.

— შენ... შენ გაჩუმდი!... მაგია შენი საქმე — საკერავზე თითი მიუღირა და გაჯავრებით შეუტია ბაკურიძემ.

ამ დროს ოთახში შემოვიდა ახალგაზდა ოცი წლის ვაჟი, ბეჭებ-განიერი და ჩასხმული კაცი. სახეზე თურაშაულ ვაშლივით იყო შეწითლებული. შავი კოკობი ულვაშები ამაყად აეწკიპა და ტანზე ყვითელი შალის ჩოხა ეცვა. იმას ხელოსანიც თან შემოჰყვა.

— შენ ბძანე არ გამოვაცხობო?... — ბაჯავრებით შეუტია ბაკურიძემ.

— რავქა, შენი ჭირიმე. გამოცხობა ჩვენ პაპას და მამას არ მართებია....

— შენ აგი თქვი, ხაბაზობა ხომ კი იცი? ტფილის ქალაქს რომ იყავი, თურმე კარგათ ხაბაზობდი?

— ტფილის ქალაქს, შენი ჭირიმე, სულ სხვაა. იქ ჩემთვის ვმუშაობდი. თავის თვის რაცხას იზამს კაცი, იმას ბატონისტვის რავა იზამს!... რამდონიც მმართებს, შენი ჭირიმე, მომთხოვე; თუმც არ აგისრულოთ, რაც გინდოდესთ, ის მიქენით. რაც არ ჰმართებია, იმის მეტი სხვასაც არ გოუკეთებია და არც მე ვიქ.

— აპა, რომ გიბძანო, არ გამოაცხობ?.. ჰკითხა ბაკურიძემ, რომელიც პირზე აენთო და თვალები ისე გადმოუქიმა, რომ, შეგეხედნა, იფიქრებდი, ეს არის საწყალი პეტრიელა უნდა ჩაყლაპოსო.

— რავქნა, შენი ჭირიმე, არ მმართებია და... რაც ბეგარათ მადევს, დიახაც კი ავასრულებ. კვირაში ორ დღეს გამოვეძიეართ

მათ და უკეთუ ტყუილს ვამბობ, ვთხოვ უმორჩილესად აქაურ სოფლის სამღვდელოებას ცოტა რამ შენიშვნა მომცენ ამაზე. ხოლო ახალ-გაზდობის სწავლა მასწავლებლების ვალია, როგორც „ზნეობითი“ სწავლაში, ეგრეთვე „გონებითი“ გახსნაში. — „ზონებითი“ გახსნა, იმისთვის ვიხმარე, რომ აქ ორმოცი წლის კაცს რომ ჰკითხო: სამი და სამი რამდენია? — ბარწმუნებ, მკითხველო, თუ მეოთხედ საათს მაინც არ იფიქრა ვერ იტყვის და იქმნება მერმე გამოთქვას. ქამისიის მიერ გახსნილ შკოლებში შეუძლიანთ დიდებმაც ისწავლონ, თუ ისურვებენ, ქართულ კითხვას, წერას და ანგარიშს; აქ ამის დასამტკიცებლათ ერთ მაგალითს მოვიყვან: ორი კაცი იმ სოფლისა, სადაც მე მასწავლებლათ ვარ, წასულიყვნენ ქალაქში, (ახალციხეს), პურის ფქვილები წაეღოთ გასასყიდათ. ფქვილები სომეხს ეყიდნა და ეთქვა იმათთვის, — შვილებო რიგიანათ იანგარიშთ და ფულები მიიღეთო. ხომ იცი შენი რამდენი ფუთია? — ვიცი. — შენი? — ვიცი. ფუთი როგორ მაქვს ნაყიდი, ისიც ხომ იცით? — ვიცით, ვიცით. ეანგარიშნათ და იმ ანგარიშის კვალზე სომეხსაც ფული მიეცა. მოვიდნენ რა ქალაქიდამ თავის ოჯახში, შემდეგ ერთი საათისა ჩემს ოთახში შამოიჭიმენ გლეხები. გამარჯობა ბატონო? — გაგიმარჯოს. — ბატონო? — რა გინდათ? ჩვენ ფქვილები გვქონდა ქალაქჩი (ხომ ვერ გამოთქმენ ში). ერთმა სთქვა, ჩემი ფქვილი იყო ათი ფუთი, ჩემი ამხანაგისა კი ცხრა ფუთ ნახევარი; თითო ფუთი გავყიდეთ სამ-სამ აბაზათ, გეყურბანეთ (თათრულია, რომელსაც აქაური ქართველები ხშირად ხმარობენ. ქართველები ხშირად ხმარობენ ქართულ ლაპარაკში თათრულსაც.), ქართულებ გენაცვალე იანგარიშეთ რამდენი უნდა მრგებოდა მე და რამდენი ჩემ ამხანაგს. მე ვიანგარიშე და საწყლება თითქმის ორ მანეთამდის ზიანი გაეწიათ თავიანთი უცოდინრობისა გამო.

— ახლა ამას თავი დავანებოთ და მივჰყოთ ხელი იმის აღწერას, თუ როგორ შეხვდა ხალხი ამ კეთილ და საინტერესო საქმეს? ძრიელ გულგრილად შეხვდნენ და ცდილობდნენ, როგორმე აეშორებინათ, ეს კეთილი საქმე თავიდამ; მაგრამ ვერ შეძლეს, რადგანაც უმაღლესი ბრძანებით იყო დაწესებული. — აეშენეს შკოლები; მაგრამ ყმაწვილების შკოლაში მიცემა ერთი მეორეზე წინ ყველას უძნელდებოდა. ერთი მეზობელი ეუბნებოდა მეორეს, შენ მიეცი ბიჭი, მეორე ეუბნებოდა, ჯერ შენ მიეცი, რომ მერმე მე მივცეო..... როგორც იქმნა შეგროვდა ესრე წვალებით რამოდენიმე ყმაწვილი. სამწუხარო ჩემდა ყმაწვილს, რომ შკოლაში მოსვლა ეხალისებოდა და სწავლა ჰსურდა, მამა ეუბნებოდა, წადი შკოლაში, ოსტატი (მასწავლებელს ეძახიან) როგორ გცემს, სულ ჯოხით გცემს. იმათ ეგონათ მასწავლებელი იმიტომ მოსულა, რომ ჯოხები მოუტანია და ყმაწვილებს უნდა სცემოსო, და სწავლაზე თითქმის არ ჰფიქრობდნენ, და მერმე რომ იკითხავ. სალდათათ გაგზავნიანო. ამ სიტყვების ძალით, ჩემო მკითხველო, თითქმის ნახევრამდინ გამექცნენ ყმაწვილები, რომელნიც უფრო მცირე-წლოვანნი იყვნენ და სალდათი თვალითაც არ ენახათ. ის კი იცოდენ, რომ სალდათი უცხო კაცი არისო, რომლისაც ძრიელ ეშინიათ ყმაწვილებს. — მეორე დღეს მოვიხმე ყველანი დიდის გაჭირვებით. — შეველი თუ არა შკოლაში, ერთმა იმათგანმა დაიძახა უეცრათ, ბატონო? — რა გინდა! — რა და! მამამ მითხრა, რომ ისწავლი თუ არა. სალდათად წაგასხმენო, მეორემ თქვა, მეც მითხრა, მესამემ — მეც..... ისრე გაბედვით სთქვეს ეს სიტყვები, რომ მე ძრიელ გამიკვირდა და მიამა იმათი ისრე გაბედვით ლაპარაკი; კიდევაც თითონვე ახსენეს თავიანთი ნალაპარაკი სიტყვები. ახლა ვთქვათ, ბატონო, მამა ჩვენი უსწავლელნი არიან; რომ ბრძანოს ხელმწიფემ, ვერ წაიყვანს იმათ სალღათათ? — თუ ინება, უსწავლელსაც წაიყვანს და სწავლულსაც, მე უთხარი მათ. ბოლოს დაუმატეს არა სჯობს, ბატონო, რომ ვისწავლოთ და თუ წაგვიყვანს ნასწავლი მაინც ვიქნებით. — დიაღ, სჯობს ეს ჰაზრი, რომ დაწვლილებით შეიტყვეს ყმაწვილებმა, შემდეგ ბეჯითად დაიწყეს სიარული შკოლაში, და სწავლობდენ, როგორც შეეძლოთ და ახლაც სწავლობენ. ამასვე დაუმატებ, მკითხველო, რომ სხვა შკოლებშიაც ამის მსგავსნი ამბავები იყვნენ; მაგრამ ეხლა განჰქრენ; და საბოლოოთ იმედი არის, უმჯობესი იქნეს, რადგანაც ახალგაზდობა შეიტყობს სწავლის გემოს, იმედი არის მამა-პაპურად აღარ მოიქცნენ. ახლა ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ახალ-შკოლების გახსნის თაობაზე: რა ნაირათ სწუხან და ჯავრობენ ხალხნი...

ეს ახალი შკოლები უნდი გაისხნას: სომხის, ფრანგის და თათრის სოფლებში, რადნაც ზევით ვსთქვი, რომ ქართველებში შკოლები ყველგან არის.. ხალხი ძლიერ შერყეული არის ამ შკოლების გახსნის თაობაზე, განსაკუთრებით თათრები. ამ საქმის გამოცხადების შემდეგ მრავალნი გადასახლდნენ და დასტოვეს ეს ჩვენი ქვეყანა. ერთი იმისთვის რომ, თუ შკოლები ავაშენეთ და შვილებს ვაკითხეთ, გააქართველებენ (გააქრისტიანებენ), მეორეთ სალდათათ წაასხმენო და იმისთვის მიჰმართეს ოსმალეთს დანარჩენიც ამ ჰაზრისანი არიან. ერთხელ ჩემ ამხანაგთან ვიყავი მახლობელ სოფელში შკოლის დასახედავათ და ყმაწვილების სანახავათ. თუ როგორ სწავლობენ; მაგრამ შკოლაში ყმაწვილები არ იყვნენ, რადგანაც მუშაობა ჰქონდათ და თავიანთ მშობლებს შველიდნენ მუშაობაში; შინისკენ რომ დაბრუნდი მეორე დღეს, ერთი დაბა-სოფელი უნდა გამომეარა; დაბა-სოფელი იმიტომ დავარქვი, რომ ნახევარი დუქნობაა და ნახევარი სოფლობა თათრებისა და სომხობისა. მივაღწიე რა იმ დაბა-სოფელში: ერთი თეთრწვერა, მოხუცებული, (ოსმალელების თავი კაცია, შემომხვდ. უეცრათ წინ და მიყო თამამი (სალსმი) „ახშამ ხეირ ოლსუნ“! — მეც უპასუხე „ახშამ ხეირ“ და თან ხელი მივეცი ევროპიულად. დაბძანდი მითხრა. მე დავჯექი. ჩემი შვიდობის ამბავი მკითხა..... ბოლოს ჩამოაგდო ლაპარაკი შკოლების შესახებ; მკითხა თქვენი შკოლა რა შვრება? — ქარგათ არის, მეც უპასუხე. ყმაწვილები არ არიან, ეხლა არ ჰკითხულობენ? არა! არ ჰკითხულობენ. ჰო! ჰო! ვიცი მერმე თითონ სთქვა, მართლა ეხლა მუშაობა არის და არ ექმნებათ მოცალება. ეს — მერე არის მეც დაუმტკიცე. რადგანაც მაშინ სწავლა არ მჰქონდა. შემდეგ განაგრძო თავის ბაასი ახალ-შკოლებზედ. ჩვენი ოსმალობა რომ სულ ახლო არ უდგება შკოლის გაკეთებას, ეს როგორ მოგწონთ? უნდა მეთქვა მე ეგ. . . . , მაგრამ მომიჭრა სიტყვა და სთქვა: ამ საწყლებმა არ იციან, თუ რა კეთილი შეიძლება, სწავლიდგან კაცმა შეიძინოს და ვერ ცნობილობენ მას. ეს იმის სიტყვები ძრიელ მოეწონა, მერმე თქვა: ჩვენ შვილებს, რომ ვაკითხოთ სალდათათ წაასხმენო, ხალხი ამბობს, მართალი იქმნება, თუ ტყუილიო? — მკითხა მე, და უნდოდა, რომ დაეტყუებია ჩემთვის სიტყვები: იტყვის სალდათის გაყვანას თუ არაო? მე მაინც ჩემებურათ ვუპასუხე: აქაური ხალხი რომ არ წაიყვანოს სალდათათ, მის მეტი რა ჰყავს ჩვენ ხელმწიფეს. — ბოლოს კიდევ დაიწყო ლაპარაკი. ხალხი ამბობს, რომ თუ შკოლები ავაშენეთ და შვილებს ვაკითხეთ, გააქართველებენ (გააქრისტიანებენ) ჩვენ შვილებსაც და ჩვენცაო. ამის მიზეზით ვერ ვაკითხებთო და იმიტომაც უნდა გადავსახლდეთო. ხალხი ამბობსო არ შეგვიძლია აქ დადგომაო. ეს ჰაზრები არა თუ ხალხის მოგონილი არის, არამედ თვითონ იმ თავი კაცის, რომელიც ზევითა ვსთქვი. ერთხელ შემდეგ ამ გამოცხადებისა განგებ დაიარა მთელი ოსმალოს სოფლები, ვითომც ხალხს განუცხადებ, რომ შკოლები ააშენეთო და შვილებს აკითხეთო მის მაგიერ მან შთაგონა ასრე ილაპარაკეთო, რომ შკოლებს ვერ ავაშენებთო და შვილებს ვერ ვაკითხეთო, ბოლოს თავის ჰაზრი ვითომც ხალხს ელაპარაკნოს, მე მიამბო და ამ პირმოთნეობით მასიამოვნა; მაგრამ იმის ფარისეველობა თითქმის ერთი წელიწადი იყო, რაც გაგებული მჰქონდა. იქვე მითხრა: ბევრ დარიგებას ვაძლევ ხალხსო და არ მიჯერებენო. ეს კი წინააღმდეგ ამისა მოქმედებს და აგონებს ხალხს. მე როგორც ნამდვილი წყაროებიდამ შემიტყვია და ვიცი ბევრსა ჰსურს „ქრისტიანობრივი“ სარწმუნოება მიიღონ; მაგრამ ამ გვარი კაცის შიშით ვერ გაუბედია. აქ

ხოლმე სამსახურისთვინ.... თავად მე მუდამ თქვენთან ვარ. მიბძანეთ, რაც მმართებს, ყოველის ფერს გავაკეთებ. თქვენთვის, შენი ჭირიმე, ცეცხლში ჩავდგები, მარა რაც არ ემართებს, იმის გაკეთება არ შემიძლია.

— აპა, თუ არ შეგიძლიან, მე შენ გაჩვენებ. — წაიღო ხელი მათრახს, რომელიც კედელზე ეკიდა და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი უელვა ზურგზე პეტრიელას და თან დასძახოდა — მას აქეთ, რაც ქალაქს იყავი, შენ წახდი, გაპილწდი, კაცს არ გავხარ. —

— აი, აი, აი!... რევაზ, მამიშენის სულს გაფიცებ, ბერიტია ნუ მოგიკვდება, თავი დაანებე — შეჰკივლა ანასტასიამ. ერთი ხელი თვალებზე მიიფარა და მეორე ნემსიანი რევაზისკენ გააწვდინა.

— ანასტასია, გადი ახლავე მეორე ოთახში — გაბრაზებით შეჰყვირა ბაკურიძემ; — ბითხარი, შენი საქმე არ არის — თქვა... გეიყვანე მაგ ბალანაც (ყმაწვილს ეძახიან).

ცოლი თავბრუ დასხმული გავიდა მეორე ოთახში და თან აზუელებული ბერიტიაც გაიყვანა.

— მომკალი, ბატონო, რაც გინდა ის მიქენი, მარა არ გამოვაცხობ. რაც არ მმართებს, არ ვიზამ, არა... არა... არა... მომკალი, მაგიერს ხომ ვერავინ გიზამს!..

— შიუკელა, წეიყვანე ეგ პილწი, საძაგელი, ხულაში დაამწყვდიე. ნურც ასმევ, ნურც აჭმევ, სანამდის ყველა არგაგიკეთოს, რაც უნდა უთხრა. — უბრძანა გაჯავრებით მოურავს ბაკურიძემ.

მოურავმა სწრაფათ გაიყვანა გალახული პეტრიკელა, რომელიც, თითქოს ჭინში ჩაუდგაო ბატონსა, სულ ამას იძახოდა: „არ გამოვაცხობ, არა, არა, არა და არაო.“

ბაკურიძემ გაჯავრებისაგან ქშინვა დაიწყო; პირიდგან დორბლი მოსდიოდა, ერთ ადგილს რომ ვერ გაჩერებულიყო, დაიწყო ფეხტიტველა სიარული და ამას იძახოდა: „მე შენ გაჩვენებ სეირს; მე შენ გიზამ ნაქნარს!..

ამ რიგათ კარგა ხანს იარა ბაკურიძემ ოთახში; ბოლოს როცა ძალიან დამშვიდდა, პირის სახე გადაეწმინდა, ის დაჯდა ტახტზე და ააბოლა თავის ჩიბუხი.

პატარა ბიჭი შემოვიდა, მაგრამ ისე კრძალვით, თითქოს კარები არ გაულია, საიდგანღაც მოფრინდაო, იტყოდი.

— სადილი მზათ გახლავთ.....

— მოიტანონ! — თავისთვის წაილაპარაკა და ჩიბუხისათვის პირი არ მოუშორებია, თითქოს ბიჭს ეუბნებოდა, აბა რა სულიერი ხარ, შენი ხმის გაცემა ვიკადროვო.

— ანასტასია გამოდი, სადილი ჭამე. —

— არა, არ მინდა — წამოიკრინა მეორე ოთახიდგან ცოლმა იმისთანა ხმით, თითქო, გულზე ლოდი აწევს და ხმის ამოღებას უშლისო.

— თუ არ გინდა, ჭირი მომჭამე — თავისთვის წაიდუდუნა ქმარმა. მერე ხმა მაღლა შეჰყვირა: „შენ თუ არ გინდა, ეგ ბალანა მაინც გამომიგზავნე; — ბიტო, მოდი, გენაცვალე სადილი ჭამე — დაუძახა მამამ.

პაწაწა ქალი გამოვიდა ცხვირ გაწითლებული და ცრემლიანი თვალებით, რომელთაც იშმუშვნიდა პატარა ხელებით. ის მოვიდა წყნარათ მამასთან. ამან მუხლზე დაისვა, თვალები ამოუწმინდა და ლოყაზე აკოცა. ბიტო სრულებით დაწყნარდა და სადილს რომ შეხედა, ისეთი მხიარული სახე მიიღო, თითქოს თავის დღეში არ ატირებულიყოს.

სულ ყოველთვის ასე ფიცხად არ ექცეოდა ბაკურიძე თავის ბიჭებსა. როდესაც შეიხვეწებდა იმისთანა დროს, რომ შინ მთელს დღეს მოსვენებით გაატარებდა და არავინ გააჯავრებდა, მაშინ სადილ-ვახშამი ყოველთვის გამხიარულებული იყო. ის დაუწყებდა თავისბიჭებს ხუმრობას და იმისთანა რასმე ეტყოდა, რომ რაც უნდა წარბშეკრული ბიჭი ყოფილიყო, მაინც გააღიმებდა. ხან და ხან მწუხარე ანასტასიაც ველარ შეიკავებდა სიცილს და მაშინ დაუწყებდა ქმარს ხვეწნას, კარგია თავი დაანებეო, თითქოს ამით ეუბნებოდა, აბა მხიარულება რა ჩემი საქმეა: მწუხარების დღეს დავბადებულვარ და მწუხარებით უნდა გავატარო ეს წუთისოფელიო. თვითონ ბაკურიძე არას დროს არ გაიცინებდა თავის ხუმრობაზე, თუნდ რომ სხვებს კურცხლებიც წამოვარდნოდა სიცილით.

მხოლოდ ხან და ხან მსხვილ ჭაღარა ულვაშებს გასწევდა, თვალებს დაწკურავდა და მაშინ გამოუჩნდებოდა ორი ფართო წინა კბილი. ამ დროს იმის სახეზე რომ შეგეხედნა, იფიქრებდი: სწორეთ გაიძვერა და ეშმაკი კაცი უნდა იყოსო! როცა სადილს წინ ხელსაბანს წყალს ჩამოატარებდა მსახური, ბაკურიძეს ჩვეულებათა ჰქონდა, ხელს რომ დაიბანდა, პირსაც გამოირეცხდა. ბაკურიძე ამ დროს დაიგუბებდა ხოლმე პირში წყალსა და მსახურს თითით ანიშნებდა: გეთაყვა ერთი კისერი გამისინჯე, მკბენარი ხომ არ მაზისო. მსახურიც მაშინვე დადებდა თუნგსა და ტაშტსა, მიუახლოვდებოდა ბატონს დიდის მოწიწებით და გულში ჰფიქრობდა, ღმერთო მკბენარი მანახვინე, რომ ბატონს ვასიამოვნოვო. ამ დროს ბატონი შიგ ცხვირპირში შეაშხეფებდა დაგუბებულს წყალს. ატყდებოდა ხარხალი. ბერიტიას ხითხითით კურცხლები სცვიოდა ხოლმე. ამისთანა ხუმრობაზე ბერიტია ყველაზე ადრე გადიკისკისებდა. თითონ ნასხურები იქნება გულში კი არა გრძნობდა კმაყოფილებას პირის დაბანისათვის, მაგრამ სხვების ხარხარს რომ უყურებდა, ისიც უნებურად გაიღიმებდა. ამისთანა ხუმრობა ბაკურიძემ ახალ მოსულ მოსამსახურესთან ცოდა. რადგან ის ჯერ ახალი იყო და ბატონის ხუმრობა ჯერ არ გამოეცადნა ამისგამო ადვილათ მოსტყუვდებოდა; თორემ ძველი მოსამსახურეებისთვის იმისთანას რასმე მოიგონებდა, რომ ჯერ არ გამოეცადნოთ და ბიჭებიც ამისგამო ადვილათ მოტყუვებულიყვენ. ხან და ხან სიცილის მაგიერათ ცრემლებს გადმოჰყრიდა ის ბიჭი, რომელსაც დაატყდებოდა ბატონის სასტიკი ხუმრობა. ბიტო და სხვები კი მუდამ იცინოდენ. მაგალითად ერთხელ ბაკურიძემ, როგორც ნაკვერცხალი, ისე გაახურა სამ კაპეიკიანი, და დასდო ბუხრის პირზე; პატარა ბიჭს დაუძახა და უთხრა: „ბიჭო ეგ სამკაპეიკიანი მომეცი, ეს არის, ეხლა დამვარდაო. პატარა ბიჭმა სწრაფათ სტაცა ხელი სამკაპეიკიანს; ერთი ხელი რომ დასწვა, მეორეში ჩაიგდო, მერეც რომ დასწვა, დააგდო და სიმწარით ხელებზე სულს იბერავდა. ბიტო იმ დროს საშინლათ ხითხითობდა; სხვანიც ძალიან გამხიარულდენ პატარა ბიჭის ხელების დათუთქვაზე. იმ საწყალს კი ხელის გული აებერა და ცრემლები სიმწარით გადმოჰყარა.

(შემდეგი იქმნება).

ერთს მუხლს მოვიყვან „ბაქიების“ ხროვის“ კამედიიდამ და ეს მუხლი დაგვიმტკიცებს იმის სიმართლეს. აი ეს კუპლეტი:

ᲐᲠᲐ იმის საქმეში სწორე არ ურევია;
ᲜᲘᲐᲓᲐᲒ მაცდურებას ხელი დაურევია.
ᲡᲘᲪᲠᲣᲘᲡ ტბას დაფლულა, ღრმათ ფეხი ურევია,
ᲮᲐᲜ რას ამბობს, ᲮᲐᲜ რასა,
ᲗᲕᲘᲗ არ გაეგებისა.

Რას იტყვი, მკითხველო, ჩემგნით ზემო მოყვანილ ლექსებზე? ჩვენ შეგვიძლია ამ გვარ კაცს ეხლა დავერწმუნოთ? — Რომელიც ზევით ისე გულწრფელად არიგებს და აგონებს ხალხს... არა! რადგანაც ნამდვილათ ვიცი, რომ ძრიელ ამაგრებს ხალხს და აგონებს... ზევითა ვსთქვი, დანარჩენ ოსმალებსაც ჰსურთ გარდასახლდნენ; მაგრამ ზოგიერთ გარემოებისაგამო ვერა ჰბედავენ და ეხლა რადგანაც ბრძანებას ვერ გარდახდნენ, ქვებს და ხეებს ზიდვენ სკოლებისათვის: სომხები, ფრანგები და ზოგიერთნი ოსმალებიც იმედი არის ყველანიც ააშენებენ და შემდეგისთვის, როცა გაისხნებიან შკოლები და სწავლაც დაიწყობა, ვეცდები შეძლებისა და გვარად ჩემისა მოვახსენო მკითხველს დაწვლილებითი ცნობები.

ს. ჯ—ელი.

1 ოკტომბერს 1868 წელს.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.

ᲐᲜᲒᲚᲘᲐ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ. Ლონდონიდგან იწერებიან, ოკტომბრის შვიდიდგან, სახალხო გაზეთში: „პოლიტიკური ემიგრანტების ყრილობაზედ, რომელნიც გუშინლამ, იყვნენ შეყრილნი ვიდრე ორას კაცამდინ. ეს ყრილობა იყო იმ აზრით, რომ აქაური დემოკრატიულ რევოლუციის მაგივრად მიულოცონ ისპანელებს თავიანთ მხარეში რევოლუციის კეთილად გათავება. Ამ მიტინგზედ თითქმის სულ ფრანცუცები იყვნენ. ასე რომ იქ მყოფნი ისპანიელები, ნემეცები და იტალიელები არაფრად ჩასაგდებელია: ამის გამო სიტყვებსაც სულ ფრანცუზულს ენაზედ ამბობდნენ. მიტინგის თავს მჯდომარედ იყო „მოქალაქე“, ბესსონი. Უვ ლაზედ დიდხანს ილაპარაკა უფ. ფელიქს პიამ, რომელიც ძალიან ძვირს ამბობდა ფრანცუზის იმპერატორის მმართებლობაზედ. მოქალაქე ვეზინე წინასწარმეტყველობდა, რომ მალე აღდგებაო რობესპერისაგან შედგენილი კომმუნიური (თემობითი) რესპუბლიკის წყობა. მსმენელთა მრავალჯერ გამოსთქვეს ორატორებთან თანამგრძნობელობა.

— ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲞᲐᲞᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐᲖᲔᲓ, რომელიც ჰქადაგებს მსოფლიო კრებაში მონაწილეობის მიღებაზედ. რამდენიმე ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ახლა ლაპარაკია პაპისგან მიწვევაზედ მსოფლიო კრებაში, რომელიც უნდა შესდგეს მომრის. ᲝᲠᲘ გაზეთი ამბობს—არა მგონია, თუ ვინმე ანგლიელმა მიიღოს ეს დაპატიჟებაო. Morning Post-ის აზრით ამ გვარი მიწვევა არის ᲐᲜᲒᲚᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ დამცირება და უარს ჰყოფს გაჯავრებითა. Daily Telegraph“ი ლაპარაკობს უფრო ზდილობითა და დამშვიდებული, რომ არც ერთი ანგლიელი არა მცირდება იმითაო, რომ პაპს არა ჰსურს იგრძნოს წარსული ფაქტების ღონე, და არა სწამს ყოფნა ანგლიკანის ეკკლესიისა. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲜᲒᲚᲘᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲔᲢᲧᲕᲘᲡ ᲞᲐᲞᲡ ᲣᲐᲠᲡ ᲘᲛᲐᲖᲔᲓᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲓ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲐᲜᲢᲝᲑᲐ. ᲐᲛᲐᲨᲘ ᲘᲩᲕᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲚᲣᲗᲔᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲘ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ; ᲣᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡᲐᲕᲘᲗ ᲓᲔᲡᲞᲝᲢᲣᲠᲐᲗ ᲘᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲓᲐ, ᲓᲐ ᲨᲔᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐ ᲡᲘᲜᲘᲓᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲐ. Მაგრამ! ᲐᲜᲒᲚᲘᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ, გემო გაიღო და შეიყვარა ყოველი, რასაც პაპი ესე უწყალოდ ჰკიცხავს. Ანგლიამ შეიყვარა თავისუფლება ბეჭედის, პირირსპირ განხილვა და განსჯა სახელმწიფო საქმეთა და სრულებითაც დარწმუნებულია, რომ Ევროპაში ბევრი ქალი გამოვა, რომელიც ბევრათ სჯობდეს ხასიათის უმაღლესობითაცა და სიწმინდითაცა Იზაბელლას, რომელსაც წმ. მამა ესე ძრიელა სწყალობს. Ამ გარემოებათა გამო ანგლიამ უარი უნდა უთხრას მიწვევაზე, რომელსაც აქვს უმეტესი მნიშვნელობა, ვიდრე საყდრების შეერთების ქადაგებასა.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ.

ᲒᲠᲐᲤᲘ ᲖᲝᲚᲣᲮᲝᲕᲡᲙᲘ, ᲚᲕᲝᲕᲘᲡ გაზეთის მოწმობით, მოსულა ᲚᲕᲝᲕᲨᲘ, სადაც ამის შემდეგ იცხოვრებს სახელმწიფო საქმეთაგან განშორებული; შეიძლება, რომ გრაფი სრულებით დასახლდეს თავის მამულში, რომელსაცა ჰქვიან ᲡᲝᲙᲝᲚᲘ ᲖᲐᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ. ᲒᲠᲐᲤᲘ ეს მეორედ ანებებს სახელმწიფო სამსახურს თავსა, მაგრამ ახლა ძრიელ გაჯავრებით და ამღვრეული. Როდ საც მთავარმმართებლად იყო, ᲖᲝᲚᲣᲮᲝᲕᲡᲙᲘ თავის ხელქვეევითებს ექცეოდა სიამაყითა და უკადრისობით. Რასაკვირველია ამ გვარად ექცეოდა მხოლოდ რუსინებსა: სამღვდელონი და საეზნაურო კი ძალიან უქებდნენ ზდილობასა; ამათ ხსოვნაში ის ამოუფხვრელია. Დემოკრატიული ნაწილი, რომელთა წინამძღვრად არის Სმოლკა, უყურებდა გრაფს, როგორც წმინდა პატრიოტსა და ამიტომ უფრო სწყინთ იმისი საქმისაგან განთავისუფლება, რომ იმის ალაგს დაიჭერსო რომელიმე პოლშელი, რომელსაც ეჭირება ცისლეიტანის სამინისტროს მხარეო და ანუ ნემენცი. ᲖᲐᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ რასაკვირველია არ იგლოვებენ გრაფისათვის; არც თუ ურიები უყურებდნენ კარგის თვალითა.

ᲞᲠᲣᲡᲘᲐ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐᲖᲔᲓ: Provincial Correspodenz, ამბობს: რევოლუციამ რომ გამოითამაშა ასე მოულოდნელად ისპანიაში, ყველა ევროპის მმართებლობათა თვალყური მიიპყრო დ სხვა ყოველი პოლიტიკური მოსაზრა დროებირ ᲔᲓᲐᲐᲣ ᲜᲐ ᲣᲙᲐᲜᲐ. Ჩრდილოეთის ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ მმართებლობას შეუძლიან გულ-დამშვიდებით უყუროს ისპანიაში საქმის წარმოებასა. ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ კეთილად წარმატებაზედ ისე ზრუნავენ ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ, როგორც თავიანთ საკუთარს წარმატებისათვის. Რუსის მმართებლობას აქვს საფუძველი იფიქროს, რომ იმისი აზრი ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲘᲡ საქმეებზედ არის საერთოდ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲘᲡ კაბინეტებისაგან მიღებული. შემდეგ უნდა ვსთქვათ, რომ ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲠᲐ ᲜᲐᲘᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲛᲐ, ამითი საერთო მდგომარება ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡᲐ არ გამოიცვლება.“

ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲐ.

Მადრიდის იუნტა. Მადრიდიდგან იწერებიან, ოკტომბრის 4-დგან, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ: „Დომაცმა რომ იუნტას თავს დაანება, ამის მიზეზი უფრო კერძოობითი ხასიათისა იყო“, ვიდრე პოლიტიკური. Უფ. Აგირრი, რომ ამ ცოტას ხანში მოვიდა პარიჟიდგან Მადრიდში და მიიღო იუნტის თავს-მჯდომარეობა, იმას ხალხი იცნობს, როგორც თავისუფლების მოყვარესა და კარგს მოაზრეს. ᲖᲝᲒᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲒᲘᲠᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲧᲝᲚᲘᲐᲝ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘ ᲠᲐᲪᲮᲐᲕᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲐᲗ. Იუნტა საერთოდ შესდგება თავისუფალ დემოკრატიულ პარტიისაგან. Ძალიან ადვილად მოხდება, რომ იუნტა ამ ცოტას ხნის შემდეგ შეუდგეს ბრძოლას სამღვდელოებასთან. Სევილაში იუნტამ დაჭეტა ყველა ქალისა და კაცის მონასტირები და სემინარიის შეგირდები გაგზავნა თავ-თავიანთ სახლებში. ᲛᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲗᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲣᲜᲢᲐᲛ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ, არ მოინდომეს ჯამაგირის მიღება; ამ გვარადვე მოიქცნენ სხვა ქალაქებში დანიშნულნი თანამდებობის მქონენი პირნი.

ᲖᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲨᲘ. Მადრიდიდგან გვაცნობებენ, ოკტომგრის 7-ს: „ᲖᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲛᲘ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ სატახტო ქალაქში ორ საათზედ ნაშუადღევს, რომელსაც ხალხი მიეგება გამოუთქმელის, თითქმის უგუნურის აღტაცებითა. Მთელი მადრიდის მცხოვრებნი ტრიალებდნენ ქუჩებში. ᲖᲔᲜᲔᲠᲐᲚᲡ მიეგება ყოველის მხრიდგან გამოგზავნილი დეპუტაცია; ამათ მოჰყვნენ ხმელეთისა და ზღვის ჯარი, სახალხო ცხენოსანნი და რამდენიმე კორპორაციები. მიგებებაში გაიარა ოთხმა საათმა. Პრიმის ოტელს ახლოს და მზის მეიდანზედ ხალხმა რამდენიმე კაცი და დედაკაცი გასრისა ფეხქვეშ. წინ მიდიოდა რამდენიმე მუზიკის გროვა და ამათ მიზდეედა სხვა და სხვა დეპუტატობა; ამათ რიცხვში იყვნენ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡᲐ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡᲐ და ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡᲐ. ᲖᲔᲜᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲞᲠᲘᲛᲛᲐ ხალხს უთხრა სიტვვა შინაგანი საქმეთა სამინისტროს ბალკონიდგან. Სხვათა შორის ამანა სთქვა, რომ იმისა და მარშალი სერრანოს შუა არის წრფელი თანახმობა, და მოუმატა, საჭირო არისო, რომ ლიბერალებსა, ხალხსა და ჯარს შუაც იყოს სრული თანახმობაო. ᲑᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲛᲝᲘᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲡᲐ, ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ ᲡᲔᲠᲠᲐᲜᲝᲡᲘ და სხვა გავარდნილის გენერლების შეწევნითა. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲔᲮᲕᲘᲕᲘᲐ ᲡᲔᲠᲐᲜᲝᲡᲐ და შესძახა: „ᲑᲐᲜᲕᲔᲓᲘᲗ ᲑᲣᲠᲑᲝᲜᲔᲑᲝ!“ ᲐᲛ სიტყვებზე ხალხმა ასტეხა ტაშის ცემა.—Იმ ღამეს ქალაქი განათებული იყო საუცხოვო ჩირაღდნებითა.

ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ ᲡᲔᲠᲠᲐᲜᲝᲡᲒᲐᲜ ᲜᲐᲮᲕᲐ ᲛᲐᲠᲙᲘᲖᲘ ᲜᲐᲕᲐᲚᲘᲮᲔᲡᲘᲡᲐ. Მადრიდის გაზეთში სწერენ, ოკტომბრის 5-დგან: „მარშალი სერრანო მივიდა ვაჭკაც მარკიზ ნოვალიხესსთან პონტში და მთელი საათი გაატარა იმასთანა. Მეგობრულად და სინანულით მიეხვივა დაჭრილს გენერალსა. Სერრანო აძლევდა ნუგეშს, როგორც საყვარელს ღვიძლს ძმასა. ᲖᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐᲖᲔᲓ, რომელიც მიუტანა იუნტამ, Სერრანომ უპასუხა: „ჩემნო ძმანო, მე გაეიარე Ალკოლიის ხიდზედა, მაგრამ მმართებლობის ხიდზედ გაელა კი არა მსურს. Ახლა მე ერთი გულის წადილი მაქვს: ეიცხოვრო ჩემს შვილებთანა.“ ხასიათითა და სახით, უმატებს ზემოხსენებული გაზეთი, ᲖᲔᲠᲪᲝᲒᲘ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲥᲝᲠᲘᲝᲚᲐᲜᲡᲐ და ᲖᲝᲨᲡᲐᲝ.

ᲘᲜᲤᲐᲜᲢᲛᲐ (ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲠᲔᲛ) ᲓᲝᲜ-ᲮᲣᲐᲜ ᲑᲣᲠᲑᲝᲜᲘᲡᲐᲛ, როგორც გვაცნობებენ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲒᲐᲜ ოკტომბრის 7-დგან, გარდასცა თავის შვილს Დონ-ᲥᲐᲠᲚᲝᲡᲡ ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲘᲡ ტახტის მემკვიდრეობა. Მოგვყავს თითონ დედანი ამ გარდაცემისა, რომელიც შესდგა პარიჟში ოკტომბრის 3 სა 1868 წელსა: „Რადგანაც ჩვენა გესურს მხოლოდ ბედნიერება ისპანელებისა, სიმდიდრე, კეთილ-მდგომარება და დიდება ჩემის მშობელის ქვეყნისა, ამიტომ შევრაცხე საჭიროდ გადავდგე ყოველი ჩემის ხარისხისა და უფლებისაგან ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ შესახებ, და ეს ყოველი დაუთმო ჩემს საყვარელს შვილსა, Დონ-ᲥᲐᲠᲚᲝᲡᲡ ᲑᲣᲠᲑᲝᲜᲘᲡᲐᲡ და ᲛᲡᲢᲘᲡᲐᲡ.

ᲮᲔᲚᲘ მოწერილია ასე: ᲮᲣᲐᲜᲘ ᲑᲣᲠᲑᲝᲜᲘᲡᲐ და ᲑᲠᲐᲑᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ.

(პეტერბურღში მიღებული)

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ, ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 29-დგან. ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ შემდეგ, რომელმაც დასწო ᲙᲝᲜᲙᲝᲠᲓᲐᲢᲘ ᲠᲝᲛᲘᲡ სასახლითურთ პაპის ᲜᲣᲜᲪᲘᲘᲡ სახლის წინა, მარშალ სერრანოსთან მოვიდა ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ და ჰკითხა: უცხო სახელმწიფოთა წარმომდგენთ შეუძლიანთ იყვნენ უშიშრად თავიანთ სიცოცხლეზედ და ჰქონდეთ პატივისცემა ხალხისაგან, თუ არა? Სერრანომ მიუგო: ყოველთვისაო. და დაპირდა თოფ-იარაღიან ყარაულებსა უცხო სახელმწიფოთა წარმომდგენლების, დასაცველათა, თუ სურთ. Ამასთან სთქვა, რომ ეს დემონსტრაცია იყო მხოლოდ იმ აზრითა, რომ ახლა არისო თავისუფლება სარწმუნოებისა.

Დემოკრატების ყრილობა გათავდა მშვიდობიანობითა, რომელთაც დასდეს გარდაწყვეტილება, რომ დემოკრატული პარტია მისცემს შეწევნას მმართებლობას მხოლოდ იმ დროამდინ, ვიდრე ის იქმნება მკვიდრი რევოლუციის დაწყობილობაზედ დაწესებული.

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 30-ს. მხედრობის მინისტრის განკარგულებით ყველა კაპრალსა და აფიცერს პოლკოვნიკებამდინ მოემატათ თითო ჩინი, და სალდათს დაენიშნა ორი წლის სამსახური,

ᲝᲙᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 1-სა. ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ ჯარი დაიშალა. Მადრიდში მშვიდობიანობა არის.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲢᲕᲔᲠᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ. Ათას რვაას სამოცდა ხუთსა წელსა ოკტომბრის თვეს თავისუფალ მომჭირნეობის საზოგადოებამ მისცა ᲕᲔᲠᲔᲨᲩᲐᲒᲘᲜᲡ ასი თუმანი, რომ ამას ამხანაგობით გაეწყო ყველის საკეთებელი; ამისგამო პირველი ამხანაგობა ყველის საკეთებლათ ᲕᲔᲠᲔᲨᲩᲐᲒᲘᲜᲛᲐ გამოიწყო ᲛᲘᲓᲝᲒᲝᲨᲩᲘᲡ სოფელს მდინარის ᲛᲝᲚᲒᲘᲡ მარჯვენა ნაპირზე. Აქ თ. შიხოვსკის ადგილზე ერთი პირუტყვთ სამწყვდეი იყო გამართული, სადაც აღარავინ იდგა. ᲕᲔᲠᲔᲨᲩᲐᲒᲘᲜᲛᲐ ამ სახლში მოჰმართა ყველისსაკეთებელი; იქვე სარდაფიც გააკეთა ყველის შესანახავათ და შემდეგ დაიწყო ყიდვა რძისა მახლობელ სოფლებში. Ამ სახით პირველი ამხანაგობა ორმოცდა შვიდი მეოჯახე გლეხისაგან შეადგინა. Რამდენსამე ხანს შემდეგ, როცა მოამხანაგე გლეხებმა გაიყვეს გაყიდული ყველის ფული და დარწმუნდენ, რომ ამისთანა ხელობა სარგებლიანიაო, მერმე სხვებმაც ისურვეს ამ ამხანაგობასთან შეერთებულიყვნენ, ან თუ არა სხვა ყველის საკეთებელი ამხანაგობა გაემართათ.

ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲡᲐᲡᲐᲠ�გებლო ხელობა რომ კარგათ გავრცელებულიყო გუბერნიის სახალხო კრებამ გადასდო შესაწევნელათ სამი ათასი მანეთი. Ამ ფულიდგან ᲕᲔᲠᲔᲨᲩᲐᲒᲘᲜᲡ მისცეს შვიდას ორმოცდა ათი მანეთი, რომ იმას დაექირავებინა პეტერბურგს და მოსკოვს ყველის და ერბოს სავაჭროები. Ამას გარდა კრებამ გარდასწყვიტა, რომ თავის შეწირულ ფულის ხარჯზე იყოლიოს თორმეტი მოწაფე, რომელნიც უნდა სწავლობდნენ ყველის კეთებასა. Შარშან ᲛᲘᲓᲝᲒᲝᲨᲩᲘᲡ ყველის საკეთებელს გარდა იყო ხუთი სამოხელო გამართული. Ამ სამოხელოებმა ყველის მკეთებელნი ამხანაგობანი გაამდიდრა რვა ათასი მანეთით. Ამ წელს ოთხი სამოხელო კიდევ უნდა მომატებოდა.

Პირველს საამხანაგო ყველისსაკეთებელში წევრათ არიან თვითონ უ. ᲕᲔᲠᲔᲨᲩᲐᲒᲘᲜᲘ, ეკკლესიის პრიჩეტნიკი და მახლობელ სოფლის გლეხნი, სხვა ყველის საკეთებლებში არიან ეკკლესიის პრიჩეტნიკები ადგილობრიენი მებატონენი და დანარჩენნი გლეხნი. ᲑᲐᲡᲣᲚᲡ ᲬᲔᲚᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲘᲡᲡᲐ�კეთებლებში ᲧᲕᲔᲚᲐᲗ და ერბოთ გაუკეთებიათ ხუთი თვის განმავლობაში ხუთი ათას ექვსას ორმოცდა თორმეტი ვედრო რძე ორასი ძროხისაგან. ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ მხოლოდ საღამოს მოსაწველი მიჰქონდათ; დილის რძეს კი შინ ხმაროობდენ. Მითო ძროხაზე საშუალო გამოიცხვით ოცდა რვა ვედრო ნახევარი გამოვიდა. Მთელი შემოსავალი ყველის საკეთებლებში, აი ამდენი იყო. ᲕᲔᲓᲠᲝᲨᲘ გამოდიოდა, ერთბაშათ რომ ვთქვათ, გირვანქა კარაქი და გირვანქა ნახევარი ყველი.

ფუთი ერბო თორმეტ ან თექვსმეტ მანეთად იყიდებოდა. ასოც და ოთხ ფუთ ერბოში აიღეს ას სამოცდა ერთი თუმანი და ორი მანეთი.

ფუთს ყველს ჰყიდდნენ ოთხმანეთად ან ოთხმანეთად და ორაბაზათ.

სულ ას თორმეტი თუმნისა გაჰყიდეს.

ფაქა და დო ცამეტი თუმნისა. ამიანათ სულ გამოვიდა ორას ოთხმოცდა ექვსი თუმნისა და ორმანეთ ნახევრისა.

რაც დაიხ-რჯა სულ ყველა გაისტუმრეს, მესამედი მოგება მისცეს თავისუფალ მომჭირნე საზოგადოებას და ვედროზე ექვს-ექვსი შაური მოგება მაინც კიდევ დარჩათ.

წარსულს წელს დეკემბერს მოხდა ტვერის სახალხო კრება, რომელსაც ვერეშჩაგინმა მოახსენა, რომ სამასი თუმანი სრულებით საკმაოაო, რომ ყველის კეთება განიგრძოსო. ზოგიერთმა პირმა გამოაცხადა ფულის სესხების სურვილი იმ პირობით, რომ სახალხო კრებამ აძლიოს სარგებელი და თავნი კი ყველის მკეთებელთა იხადონ. სახალხო კრება თანხმა გახდა ამაზე და ვერეშჩაგინს მადლობა უთხრა ამ კეთილის საქმის თაობისათვის. ბამოფენის გამგე კომიტეტმა ტვერში წარსულს ექვს ოკტომბერს უ. ვერეშჩაგინი დააჯილდოვა ოქროს მენდლითა სხვა და სხვა გვარის ყველისთვის და კარაქისთვის. ნოვინოს ყველის მაკეთებელ ამხანაგობას აჩუქა მისმა იმპერატორების უმაღლესობამ ნიკოლოს ნიკოლოზის ძემ ხოლმოგორის—ალდერნის მოდგმის ჯურო. მისმა იმპერატორების უმაღლესობამ ალექსი ალექსანდრეს ძემ თავის მგზავრობის დროს ამ წლის თერთმეტს მაისს, ინება ნახვა ყველის—საკეთებლებისა ვიდოგოშჩაში და კმაყოფილებით მოისმინა გლეხების პასუხი და იმათი აზრი, რომ ყველის კეთება ჭეშმარიტად დიდი კეთილი საქმეა იქ მცხოვრებ გლეხებისათვისო.

სოფელი ხაშმი.

რისთვის იწერებიან სტატიები,—ისტორიები, კორრესპონდენციები და ყოველთა მხარეთა ადგილები, ვითარება და მდგომარეობა მათი? ამისი პასუხი მრავალთათვის არ არის დაფარული; განა აღწერანი სულ ერთ-გვარნი უნდა იყვნენ, ან უთუოთ უნდა იქონ ის ადგილები, რომელთაც ვამზადებთ ასაწერად, როდესაც არ შეეფერება ის ქება? არაოდეს. აღწერა ესე ვითართა სტატიებთა, რომელთ ეკუთვნის, ანუ მინდობით არის მთავრობისაგან წერა მათი?—რომელთამე აზრით იქმნება ესე იყოს? მაგრამ მე რომ არა მაქვს მონდობილი, მაშა მე სრულებით არა მაქვს ნება წერისა, უნდა ვიყო მხოლოდ გულხელ დაკრებილი, პირ გაღებული, ყურებ ჩამოყრილი და უყურებდე იმას, მხოლოდ ვისაც აქვს მინდობილი სტატიების წერა.

მრთელი რუსეთის იმპერია ჩვენზე განათლებულია ეხლანდელ დროში და იქ არის გაშხირებული ჟურნალები, გაზეთები და ნაირ ნაირი საკითხავი წიგნები; მათგანი ბევრი მინახავს, განა თანა მშრომელები იმათნი გამხდარან ისინი, ვისაც კი აქვს მიმართულება, სურვილი და მწერლობისა შეძლება; მათი გამომცემელნი მიიღებენ ყოველ ნაირთა მწერლობათა, და გამოიცემაცა მათგან. ხოლო მათგანი, რომელნიც უხამსობენ თვისის განუსჯელობითა, მიეცემიან ესრეთნი სტატიები კრიტიკულსა განხილვასა. ვგონებ ამა ჩვენ მხარესაცა, რომელიც დიდი-ხნის ღარიბია ამა-ჟურნალებითა, და რაც ეხლა მცირედ მცირედ შემოდიან კეთილ მშრომელთაგან პირთა გაზეთები, ანუ ჟურნალები, უნდა იყოს ამ გვარევ. ამისთვის მეც ვისურვე შეძლებისამებრ მწერლობა, და აღვწერე ს. ხაშმი, რომელიც დაიბეჭდა „დროების“ გაზეთში N 34. რადგანაც ვიცნობ ამ სოფლელს, იქმნება შვიდი წელიწადი, და ესცხოვრებდი მათ შავის წოდების ხალხში, რომელნიც მოხსენებულნი არიან წარსულ სტატიაში. მსურს სხვათაცა სოფელთა აღწერა, გარნა სამართალი მოითხოვეს, რომ, პირველად გაცნობილისა და შინაურულ დ დახლოებულის სოფლის აღწერა იყოს და შემდგომ სხვათა. ამისთვისვე ვაძლევ მას პირველს სტატიას სისრულეს, რადგანაც აღუთქვი მკითხველებს.

მე სოფელსა ამას არ შევხებივარ, არცა უხმარისა და უჯეროს ქებისათვის და არცა უსამართლო დამცირებისათვის; არამედ როგორც გვაძლევდა მიზეზს ჭეშმარიტი სახე ჩვენც იმას შეუდეგით. ამისთვის ჩვენგან აღწერა ამ სოფლისა ვინც კი ჭეშმარიტის შეხებით და წმინდის სინიდისით განიხილა და ცნობაცა ჰქონდა იმა სოფლისა, დაგვიშთა პირდაპირ მადრიელი.—იმა წინანდლისა სტატიისა შემდეგ, ე. ი. სეკტემბრის 14, ვიდრე 22 რიცხვადმდე ვიყავ ამა სოფელში, სადაცა ენახე მრავალნი მადრიელნი ჩემი სიტყვებისა, მაგრამ მესმოდა ვითომც როშელთამე პირთა მიეღოთ საწყინოთ, დიდად გამიკვირდა, წყენა რათ უნდა ყოფილიყო, მაშინ როდესაც სულ მცირედ და შემოკლებით იყო აწერილი ჭეშმარიტი; მე იმედი მქონდა თითქმის სარგებლობაც შეეძლო იმას იმა პირთათვის, რომელთაც მიეღოთ საწყინოდ, უკეთუ განეხილათ სარკითა გონებისათვისათა; და უკეთუ ჭეშმარიტებამან დაბადა ესე, მაშა უსაფუძვლო ქება მათი მავნებელი იქმნებოდა, ანდა ზისაებრ: „მეტი, მეტი ჰო, ჰო, (დაკვავება) ხარსაც გააგიჟებსო“.—ბანა რა იყო იქ საწყინო?—არაფერი. მხოლოდ ისა რომ, იქ მამასახლისი არის მოხსენებული უსწავლელად; და კვალად სასულიერო პირნი შავის-წოდებისანი. მეც რომ არა ესთქვა რა, ყველამ იცის, რომ საქართველოს სოფლებში არ არიან ნასწავლი მამასახლისები, სად უნდა ესწავლათ; იმათ დროს არსად იყო იმისთანა სას წავლებლები. როშელნიც ახლა ძლიეს დაწესდნენ როშელთამე სოფლებში და სწავლობენცა სოფლის მცხოვრებთ შვილები; მაშა აქედგან ცხადად იცნობება, როშელ უცოდინარი წიგნისა და წერისადმი რა წყაროებს და ღონის ძიებას მოიხმარებს, თავის საქმის აღსასრულებლად. . . . . .

ხოლო შავის წოდების პირნი არიან მოხსენებულნი შემდგომის მიზეზისათვის. ვახუშტი მეფის შვილი თვისსა გეოგრაფიულ აღწერაში იტყვის ხაშმისათვის ამას: „ხაშმს ჰყვეს მონასტერი (ეკკლესია) და ციხე ნათლის-მცემლისა მონაზონთა“. (ამა ეკკლესიისა აღწერასა გადავიდებ შემდეგისათვის)—ძველადვე ეს სოფელი აღშენებულია ნათლის-მცემლის უდაბნოს წინამძღვართა და მონაზონთაგან, არის ზემორე ამა სოფლისა ნასოფლარი ე. ი. ძველი ხაშმი, გარნა ამა სოფლის გარდმოტანის მიზეზნი იყვნენ ესე ხსენებულნი მონაზონნი, რადგანაც ქმნეს ეკკლესია, რასაკვირველია იქ იყო მარადის წირვა. ლოცვა, მშვენიერი გალობა, წიგნის კითხვა და მათგან უხვად მოწყალება ქრისტეს სახელზ დ დაერდომილთა ერთადმი, ამისთვისცა აქვთ იქაურ მცხოვრებთ დღ სამდე გულს-მოდგინებით სიარული ეკკლესიაში, როგორც განმიცხადებია წინათვე. მათვე მონაზონთა აქ უნდათ აქა მონასტრის ძმათა საზრდოდ წისქვილები, ზვარი და ხენა თესვა, რომ ლიც დღესამდე აქვთ ესენი და მომეტებულს ცხოვრებას ატარებს აქა წინამძღვარი, მონაზონი სანდო ზედამხედავად, მორჩილი მსახურითურთ; ეგრეთვე მისვე მონასტრის კრებულთ აქვსთ საცხოვრებელი ბინა. ამა წოდების ხალხნი წინეთ ანუ ძველად ისე ეპყრათ ამ სოფლის მცხოვრებთ, როგორათაც სულიერი მამა და მფარველი; ყოველსავე რჩევასა ჰკითხავდენ მათ, რადგანც უწოდებდენ მათ ღვთის-მოპირდაპირედ. ეხლაც მრავალთათვის არიან შემწენი შინა საქმისათვის. . . . . .

ამ სოფლის მცხოვრებნი ხალხნი არიან გულკეთილნი, სტუმართ-მოყვარენი, პატივის-მცემელნი და მხიარულნი, არა ზოგვენ მცირესაცა სტუმართათვის, რომლისა ჩვეულებისა გამო მიიწვევენ ხშირად მამათაცა თეთრისა და შავის წოდებისათა, თუმცა იციან რომ ამათი საკადრისი პატივის ცემა არ შეუძლიანთ, მაგრამ, ისიმი ჩვეულებისა გამო და გულკეთილობისა ენდობიან მას ანდაზასა, რომელიც არის ნათქომი რუსულად: „რითაც არიან მდიდარნი, მითვე შთებიან მადრიელნი“. ჩვენ წარსულს სტატიაში ვაქეთ ეს სოფელი ვენახიანობითა ანუ ღვინითა; ბაშასადამე საფიქრებელია, რომ, სადაცა არის ღვინო, პური და შეძლება, იქვე ხმარებაცა არის და გასავალიც. აქა თითქმის ყოველთ აქვსთ ღვინო. რომელნიმე სმენის სიტყვითა საღმრთოთა წერილისათა: „ღვინო ახარებს გულსა კაცისასა“; და სხვანი სიმღერისა ლექსებითა; „ისევ და ისევ ღვინითა დრო გავატაროთ ლხინითა“. და ესე ვითართა ფრაზთა მიცემულნი თავიანთ გულ-კეთილობასთანა შეაერთებენ ესრეთსაცა განცხრომასა, არა ხოლო თუ კაცნი, არამედ დედაკაცნიცა, რომელთა შორის უფრო ნამეტნაობს სიმხიარულე, უკეთუ იპოვეს საკუთარი დრო. ამ ერთი ამა პოვნილის დროსათვის მოგახსენებთ ნამდვილათ, რომელთა შორის ვიყავ მეცა.

იქაურ ქორწილის ლხინზედ აღარას ვიტყვი, ამისთვის რომელ ქორწილის გარემოება ყოველთ იციან, რომ სიმხიარულე მართებთ ყოველთა, მაგრამ შემდგომ ქორწილისა ენახე წვეულება ერთი ჩემის მეგობრის სახლში. იმას გამოსახული ჰქონდა აზრში, რომ მე დიდის სურვილით ვუყურებდი შინაგან ცხოვრებასა მათსა, რადგანაც მაშინვე აზრში ქონდა ამ სოფლის აღწერა, ამისთვის იმან მითხრა, აბა, ხვალ უყურე დედაკაცების წვეულება უნდა გავმართოთ და შენ უყურე მათ გულ-კეთილობით ტოლიბაშობასა და სმასა. ბ ვკვირდი დიდათ, რადგანაც ჩვენი მხრისკენ არსად მინახავს ესეთი სიმხიარულე უქონლობისაგამო ღვინისა, რადგანაც არ აძლევს იქაური ჰავა და მდებარეობა ვენახიანობის შემუშავებასა.—ეს როგორ იქმნება, ვუთხარი. მაგრამ, ბატონო, მეორე დღეს რომ უყურე, არა მარტო მე ვიყავ, არამედ იყვნენ იქ სხვა წოდების ხალხნიცა.—დაიჭირეს თვითონ ტოლიბაშობა, თვით მე რომ არა შემეძლო რა მათთან, ავირჩიე მერიქიფობა ანუ კულუხჩობა, რადგანაც მრავ ლნი იყვნენ და სადღეგრძელოს მირთმევის შემდეგ, მივართმევდი მეცა ქვემორე მსხეომარეთა, ის დღე დაღამდა ჩქარა, რადგანაც იყო დღე ი ნერისა; დავარწმუნებ ყოველთა, რომ ყოფილიყო ივნისისა სულ უდიდესი დღე, ისიც დაღამდები და მათ ლხინში. მე ვერ შევსძელ-იქ ყოფნა ამისათვის დაბინდდა თუ არა წაველ ჩემ ბინაში. მე შევიქმენ დიდათ მადლობელი, მისთვის უფრო რომ მათი გულკეთილობა და სტუმართ მოყვარება გამოვისახე გულის ფიცარზედ, არ არიან ისრეთ გულ-დახურულნი, როგორც ბინახ ეს სხვა სოფლებში; თუ ეაიგებოდა, წარ-ესთქვი მათთვის სათხოვარი, ვედრება უფლისადმი, რათა დამარხოს მათ შორის სიმდაბლე, მოწყალება, სიყვარული, გლახაკთ-შეწყალება და სტუმართ-მოყვარება-ის სათნოებანი, რომელნიც სასიამოვნო არიან ღვთისა. შესავსებელად ამა აღწერისა საჭიროდ ვრაცხ-გავაცნო მკითხველები ზემორე თქმულ სიტყვათადმი, თუ რა გვარად არიან შემწ ნი ამა სოფლისათვის სასულიერნო პირნი შავის წოდებისანი?

ივანე ბერძენოვი.

სხვა და სხვა ამბავი.

ვენეციის ხელთნაწერები და საგნები ხელოვნებისა. ბაზეთში Correspondence générale ოკტომბრის 2-დგ ნ სწერენ: „წარსულს სამშაბათს გათავდა და დამტკიცდა სასახლის სოვეტნიკ არნეტის ხელის მოწერითა ლაპარაკი შესახებ მიბრუნებისა ვენეციისათვის თავისი ხელოვნების საგნებისა და არხივის განძებისა. ამაზედ ხელი უწერიათ გარდა არნეტისა, რომელიც იყო ავსტრიის მხრიდგან, დეპუტატს ჯუზეპპე ჯაკომელის და ვენეციის არხივების დირეკტორს თომაზო ბარს, რომელნიც იყვნენ იტალიის კომისრების ხარისხითა. სახეებთაგან, რომელიც შეადგენს ხელოვნების საგნების ნაწილსა, ვენეციაში გაიგზავნება (რიცხვად 200 დინ) მხოლოდ ისინი, რომელნიტ იყვნენ წამოღებულნი 1866 წელსა; დანარჩენი სახეები, რომელნიც იყვნენ წამოღებულნი ავსტრიაში წინა წელიწადებში და დაწყობილია სახალხო კოლექციებში, ისინი ისევ ავსტრიაში დარჩებიან. ხელნ-წერებზედ არის ნათქვამი, რომ რომ ლიც კი არ შეეხება ავსტრიას, ისინი სულ ვენეციას დაუბრუნდებაო; მხოლოდ დეპეშები, რომლებსაც სამასი წლის განმავლობაში უგზავნიდნენ ავსტრია და ვენეცია ერთმანეთსა და რომელიც შეადგენს 300 ფოლიანტს ძალიან კარგს და აქამდინ ხელუხლებელს ისტორიის მასალებსა, ისინი კი დარჩება ავსტრიის იმპერატორის არხიევებში. ის საგნები, რომლნიც არიან დანიშნულნი ავსტრიაში გასაგზავნად, მოტანილია წარსული თვის 29-სა სამხრეთის რკინის გზაზედ იტალიის კომისრებისაგან, რომელნიც მოსდევდნენ ამ ბარგხ ნასა; ესენი უნდა დაბრუნდნენ ვენეციაში ტრიესტზ დ, რომ წაიღონ თან ის საგნები, რომელნიც არიან დანიშნულნი ვენეციის არხივებში გასაგზავნათა.

ბიბლიოგრაფული ცნობა.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან, მესამე გამოცემით დაიბეჭდა და ისყიდება თბილისის ს. სულიერო სემინარიაში, მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, ალადათოვის და ვართანოვის წიგნების მაღაზიებში. ფასი ყველგან ორი შაურია.

НАЧАЛЬНЫЙ ПРАКТИЧЕСКІЙ КУРСЪ РУССКАГО ЯЗЫКА ДЛЯ ГРУЗИНЪ, составленый К—ли, вышелъ вторымъ изданіемъ, и продается въ Тифлисской Духовной Семинаріи и Типографіи Меликова и К-°. цѣна 60 к.

რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის, შედგენილი კ—შვილის მიერ, მეორე გამოცემით დაიბეჭდა და ისყიდება: თბილისის სასულიერო სემინარიაში და მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. ფასი სამი აბაზი.—

იბეჭდება
და მომავალ თვეში გამოვა
კალენდარი
1869 წ.
შედგენილი
პ. უ.

კალენდარში იქნება სხვა და სხვა საკითხავი ცნობათა შორის გამოკრებანი **სამართლის წესდებათაგან** (სუდებნი უტავისაგან),

ერთი პატარა ნათარგმნი **მოთხრობა**, რამდენიმე **ლექსი** და სხვა თხზულებაები. სივრცით იქნება ოთხ თაბახამდე და ფასი ერთ აბაზზე მეტი არა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го октября, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.